იმპრესიონიზმი და ნიკო ლორთქიფანიძე

მოამზადა მაია ინასარიძემ

იმპრესიონიზმი მხატვრული მიმდინარეობაა, რომელიც XIX ს-ის II ნახევარში წარმოიშვა ფრანგულ ფერწერაში, შემდგომ კი გამოვლინდა ხელოვნების სხვა დარგებშიც. მისთვის დამახასიათებელია სამყაროს აღქმასთან დაკავშირებული ხელოვანის წუთიერი შთაბეჭდილებების, სულიერი განწყობილების გადმოცემა.

ნადარის ფსევდონიმით ცნობილი მხატვარ-ფოტოგრაფის სალონში გამოფენილი ექსპონატებიდან დამთვალიერებელთა თვალთახედვის ობიექტად იქცა კლოდ მონეს პატარა ზომის ნამუშევარი სახელწოდებით "მზის ამოსვლა. შთაბეჭდილება“ (Impression, soleil levant). სენსაციებზე მონადირე ჟურნალისტმა, ლერუამ, თავის სტატიაში მონე და მისი თანამოაზრენი "შთაბეჭდილების მხატვრებად" მონათლა. ასე გაჩნდა ტერმინები იმპრესიონიზმი და იმპრესინისტები.

კლოდ მონე - შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა

იმპრესიონისტებმა დაინახეს ასახული ცხოვრების ის მხარეები, რომლებიც მანამდე საერთოდ შეუმჩნეველი იყო ხელოვნებისათვის.
იმპრესიონისტებმა ახალი სილამაზე და პოეზია აღმოაჩინეს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულ ერთიანობაში.



იმპრესიონისტი მხატვრები გამოვიდნენ სახელოსნოებიდან, შენობებიდან, სტუდიური გარემოდან და ბუნებაში ღია ცის ქვეშ აირჩიეს მუშაობა. რათა ცოცხალ გარემოში დაკვირვებოდნენ გამოსახულ ობიექტს. ჩვეულ გარემოში ბუნებრივ განათებაში დაეფიქსირებინათ თავიანთი შთაბეჭდილებები. მათ ფერწერულ ტექნიკაში გააზრებულია, რომ თოვლი არ არის თეთრი, ბალახი - მწვანე, ჩრდილები - შავი, ეს ყველაფერი შედგება მრავალი ფერადი წერტილებისგან და მხოლოდ ადამიანის თვალი კრებს ერთ მთლიანობაში. ქმნის ერთ მთლიან ფერად ტილოს.

იმპრესიონიზმისთვის არ არსებობს სტატიკური რეალობა, იმპრესიონისტული ხედვა სამყაროს აღიქვამს ცვალებად რეალობად და ცდილობს წამის ყოფის მარადისობა დაიჭიროს...
იმპრესიონიზმის მიზანია ნაწილი ნაგულისხმევი მთელის საფუძველზე გაჩვენოს. ისე გაჩვენოს ნაწილი, რომ მთელი შეიგრძნო.

ლიტერატურული იმპრესიონიზმის დამახასიათებელი ნიშნები

- თხრობის ფრაგმენტულობა.
- ლაკონური ფრაზები.
- თხრობის მოზაიკურობა.
- თხრობის რიტმულობა.
- ერთსიტყვიანი, ხშირად უზმნო, სახელდებითი წინადადებები.
- დეტალებზე, ნიუანსებზე აქცენტირება.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ,,შელოცვა რადიოთი'' მკვეთრად გამოხატული იმპრესიონისტული ნაწარმოებია. ავტორისთვის მთავარია გაჩვენოს ნაწილი - ნაგულისხმევი მთელის საფუძველზე. აღწეროს წამიერი გაელვება და მისგან გამოწვეული შთაბეჭდილება, ისე რომ ცხადლივ წარმოიდგინო.

ნიკო ლორთქიფანიძე ქმნის იმპრესიონისტულ ფრაზას - განცდათა მკაფიო სურათს. თავად მწერალი წერს: ,,სულის დახატვა სხეულის დახატვას არ ჰგავს, სულის დახატვა უფრო ძნელია". ,,მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდი ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია . . . მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისთვის... მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი დაამზადოს, დაბოლოოება, დამთავრება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებას და სურვილს მიანდოს" (ნოველა ,,უიალქნოდ").

ნიკო ლორთქიფანიძის შეხედულებები მწერლობაზე - სიტყვის ეკონომია, ცოცხალი რეალობიდან ვინმეს მოყოლილი ისტორია, ყურმოკრული ამბების აღწერა, ძირითადი ორი-სამი შტრიხით დახასიათება და სხვადასხვა სურათის შექმნა, რომელიც მკითხველმა უნდა გააერთიანოს - ზუსტად აირეკლა ნაწარმოებში „შელოცვა რადიოთი“.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნიკო ლორთქიფანიძის თხრობის რიტმულობა. მისი ზოგიერთი ნაწარმოები, მათ შორს ადგილები ნაწარმოებიდან „შელოცვა რადიოთი“ პროზის ფორმით დაწერილი ლექსია. ლორთქიფანიძის ეს დამოკიდებულება ჩამოყალიბებულია მის ეპიგრაფში, რომელიც მან წარუმძღვარა 1914 წლის მინიატურათა ციკლს ,,სულიერი განწყობილებანი’’: ,,უმთავრეს მიზნად მქონდა მკითხველში ერთგვარი სულიერი განწყობილება გამომეწვია - სიტყვის საშუალებით მუსიკის საწადელი მიმეღწია’’ (ლორთქიფანიძე 1934: 247).

„ნიკო ლორთქიფანიძის იმპრესიონისტული მანერა ფერწერული თხრობის, მუსიკალური ჟღერადობის და კინონარატივის სტილისტურ სისტემებს მოიცავს. მწერალი აქტიურად მიმართავს მუსიკის, ფერწერის და კინოხერხების გამოყენებას და ახდენს მათ სუბლიმაციას ლიტერატურულ გარემოში“ (ლევან გელაშვილი).



შეასრულეთ ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები

სავარჯიშო N 1

ტერმინი იმპრესიონიზმი წარმოიშვა:

ა) ედუარდ დეგას ნახატის - ცისფერი მოცეკვავეები“ - საფუძველზე;

ბ) კლოდ მონეს ნახატის - მზის ამოსვლა. შთაბეჭდილება“ - საფუძველზე;

გ) ვან გოგის ნახატის - „ვარსკვლავიანი ღამე“ - საფუძველზე.

სავარჯიშო N 2

იმპრესიონისტების შემოქმედების ფოკუსში მოექცა:

ა) ადამიანის სხეულის მშვენიერება თავისი უზადო პროპორციებით;

ბ) რელიგიური ექსტაზის ქვეშ მყოფი ადამიანის სულიერი მდგომარეობა;

გ) ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრება, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულ ერთიანობა.

სავარჯიშო N 3

ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>არ არის</u>** ლიტერატურული იმპრესიონიზმის მახასიათებელი?

ა) რეალობის აღწერა პირადი განწყობილების გარეშე.

ბ) დეტალებზე, ნიუანსებზე აქცენტირება.

გ) თხრობის რიტმულობა.

უყურეთ ვიდეოს სილქნეტის საშინაო სკოლიდან (ლალი დათაშვილი) და შეასრულეთ სავარჯიშოები.

სავარჯიშო N 1

ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებს „შელოცვა რადიოთი“ გაკეთებული აქვს მინაწერი - „დიდი გოდების მცირე ნაკადი“. რის თქმა უნდა ამ მინაწერით ავტორს?

ა) დიდი გოდება თავად ელის ცხოვრებაა, ხოლო მცირე ნაკადი - მისი უცხოეთში ყოფნის პერიოდი.

ბ) ელის სიკვდილს ვერ მოჰყვა დიდი გოდება, რადგან ის შორს იყო, მაგრამ უცხოეთში ელი ადამიანთა მცირე ჯგუფმა დაიტირა.

გ) ელის ისტორია ერთი მცირე ნაკადია იმ საყოველთაო უბედურებისა, რომელიც ქვეყანაში სუფევდა.

სავარჯიშო N 2

რატომ შეცვალა ნიკო ლორთქიფანიძემ ეპიგრაფად გამოყენებულ შოთა რუსთაველის სიტყვებში „რას მაქ(მ)ნევდით“ სიტყვებით „რას მიქნევდით“?

ა) „მიქნევდით“ ზუსტად მიესადაგება ელის, რომელიც სათამაშოდ იქცა ჰექსლეისა და ბრომლეის ხელში;

ბ) ეს მხოლოდ კორექტურაა და ავტორს გარკვეული განზრახვით არ შეუცვლია ერთი ფორმა მეორით.

გ) „მიქნევით“ უნდა გავიგოთ, როგორც გამომშვიდობება, ხელის დაქნევა სამშობლოსათვის ფესვებს მოწყვეტილი ადამიანისა.

სავარჯიშო N 3

ერთ-ერთ ეპიგრაფად ნიკო ლორთქიფანიძეს გაოყენებული აქვს სახარებისეული ფრაზა რომელიც მცირედად შეცვალა: „ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული, მისატევებლად ცოდვათა და გასაწამებლად სიცოხლისა.“ მიუმატა „გასაწამებლად სიცოცხლისა“.

ვიდეოლექციის მიხედვით, სიტყვას „გასაწამებლად“ აქვს შემდეგნაირი ახსნა:

ა) უფალი ადამიანების გასაწამებლად განკაცდა და ეცვა ჯვარს. ელის ცხოვრებაც წამებაა, ღვთის სასჯელი, მოვლენილი მისი ცოდვებისათვის;

ბ) მწერალმა გამოიყენა რუსთველისეული „გამიწამე,“ წამად მიქცია, რითაც მიგვანიშნა, რომ უფალმა სიცოცხლე „გაგვიწამა“, ანუ ბედნიერების წამი მოგვანიჭა.

გ) რადგან „წამება“ მოწამეობა-მარტვილობას, ტანჯვას ნიშნავს, ამ სიტყვით ავტორი მიგვანიშნებს ელის მოწამებრივ ცხოვრებაზე.

წაიკითხეთ თემურ დოიაშვილისა და მაია ჯალიაშვილის წერილები. საკითხავი სავარჯიშო

შეასრულეთ საკითხავი მასალის ქვემოთ მოცემული სავარჯიშო.

სავარჯიშო N 1

იმპრესიონიზმისათვის დამახასიათებელი სუბიექტური განწყობილებების გადმოსაცემად ყველაზე ადეკვატური ჟანრებია:

ა) მოთხრობა, რომანი, ჩანახატი;

ბ) მინიატურა, ესკიზი, ნოველა;

გ) პოემა, ესე, მოთხრობა.

სავარჯიშო N 2

იმპრესიონისტული ესთეტიკისაგან ნიკო ლორთქოფანიძეს განასხვავებს ის, რომ:

ა) გმირთა ხატვისას მხოლოდ „წუთიერი შთაბეჭდილებანია“ ამოსავალი და არა განზოგადებული, ტიპური სახეები და მოვლენები.

ბ) მწერლისათვის მთავარია ფრაგმენტების ხატვა, მათი გამთლიანება კი მკითხველის მოვალეობაა.

გ) ნაწარმოებთა იდეური შინაარსისადმი ერთგვარი გულგრილობის ნაცვლად ასახვის ობიექტის სულიერი მდგომარეობის, ცნობიერების შინაარსის გადმოცემა.

სავარჯიშო N 3

რა მოდერნისტული თემატური სიახლით გამოირჩევა ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“?

ა) გმირი მსოფლმხედველობრივი პრობლემებით.

ბ) მაღალი იდეალების ტრაგიკული გმირები.

გ) ახალი ტიპის გმირები ურბანულ გარემოში.

სავარჯიშო N 4

მოთხრობის სათაური „შელოცვა რადიოთი“ უნდა გავიგოთ, როგორც:

ა) ერთგვარი გამოხატულება წარსული ტრადიციების მიმართ პატივისცემისა.

ბ) ერთგვარი გამოხატულება წინააღმდეგობისა ტრადიციასა და ცივილიზაციას შორის.

გ) ერთგვარი გამოხატულება დრომოჭმული ტრადიციების უგულებელყოფისა.

სავარჯიშო N 5

მეორე წერილის ავტორის აზრით, რა დანიშნულება აქვს ნაწარმოებში კლასიკური მწერლობის სხვადასხვა ნიმუშის გახსენებას?

ა) მწერალი ამ ინტერტექსტუალური ჩანართებით მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისთვის, როგორც მოდერნისტი მწერლისათვის, კლასიკამ დრო მოჭამა.

ბ) მწერალი ამით ცდილობს ცოტა ხნით გავიდეს მოთხრობის ჩარჩოდან, რათა მკითხველმა აწმყოს სიცარიელე შეიგრძნოს, დაფიქრდეს, გააანალიზოს.

გ) მწერალი ამით გვეუბნება, რომ კლასიკური ნაწამოებების მიმართ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ერთგვარი ნიჰილიზმი და გაუცხოება.